ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

19-72

დადგენილება № ---

"22" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" და „კ" ქვეპუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების" მე-4 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ა) დამტკიცდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების თანდართული წესი.

ბ) ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს №9-63 გადაწყვეტილება.

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესს.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი (გარდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა) შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზებისას - კანონით განსაზღვრული პირი.

3.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისმთავრობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს მიერ დამტკიცებული მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის მიხედვით, მუნიციპალიტეტისსაკრებულოს მიერ დამტკიცებული პრივატიზაციის გეგმის შესაბამისად.

4. აუქციონის ფორმებია: ელექტრონული აუქციონი და საჯარო აუქციონი. აუქციონიშეიძლებაგამოცხადდესპირობებისგარეშეანპირობებით.

5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების მიზანია საკუთრების უფლება გადაეცეს აუქციონის გამარჯვებულს, რომელიც სააუქციონო კონკურენციისას აუქციონატორს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს (პირობის გარეშე აუქციონი), ხოლო, თუ აუქციონი გამოცხადდა პირობებით – საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ მონაწილეს, რომელიც აიღებს ვალდებულებას დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და აუქციონატორს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქონების მართვის სააგენტო(შემდგომში - აუქციონატორი) არის უფლებამოსილი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს: აუქციონის ფორმით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებას, აუქციონის გამოცხადებას, ჩატარებას, ორგანიზებას და შედეგების გაფორმებას. აუქციონატორი ქონების პრივატიზებისას მოქმედებს როგორც აუქციონზე გატანილი ქონების მესაკუთრე.

7. საჯარო აუქციონის შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შექმნილი მუდმივმოქმედისააუქციონოკომისიის წევრის - აუქციონატორის ფუნქციას ახორციელებს კომისიის შემადგენლობაში აუქციონატორად განსაზღვრული ფიზიკური პირი. საჯარო

აუქციონისფორმითმუნიციპალიტეტისქონებისპრივატიზებახორციელდება ამ წესის შესაბამისად.

8. აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე-6 თავის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, არანაკლებ დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნით დადგენილი ფასის ოდენობით.

9. ქონებისსაწყისი საპრივატიზებო საფასურის შეფასების აუდიტორული მომსახურების შესყიდვის პირობებს, მომსახურების პაკეტს ადგენს და დაკვეთას უზრუნველყოფს აუქციონატორი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნით დადგენილი ფასის ოდენობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

10. საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის პროექტს ამზადებს აუქციონატორი და წარუდგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას.

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წარდგინებით, ქ. თბილისის საკრებულო ამტკიცებს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას, პრივატიზაციის გეგმას, ლოტების ჩამონათვალს, ლოტის საწყისი ფასისა და ბიჯის ოდენობას, აუქციონის ფორმას და სხვა სააუქციონო პირობებს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წარდგინებით საკრებულო უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილება/ცვლილებები საპრივატიზებო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმაში. აღნიშნული ცვლილება/ცვლილებები წარმოადგენს საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის განუყოფელ ნაწილს.

12. აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეობის მსურველთა შესახებ (მათ შორის - აუქციონში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობის შესახებ) კონფიდენციალურია.

13. ქონების ვადიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის აუქციონის, ასევე, აქციებისა და წილის მართვის უფლებით გადაცემის აუქციონის ორგანიზება, ჩატარება და შედეგების გაფორმება ხორციელდება შესაბამისი წესების და ამ წესით დადგენილი ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის შესაბამისად.

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დაფუძნებული/წილობრივი მონაწილეობით არსებული იურიდიული პირებისათვის, ასევე სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზებისა და შედეგების გაფორმებისას აუქციონატორი ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე წესით.

15. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების განხორციელებისას აუქციონატორი უფლებამოსილია ნებისმიერი დოკუმენტი მიიღოს,

შეადგინოს ან/და გასცეს როგორც წერილობითი, ისე ელექტრონული ფორმით. წერილობითი ფორმით და ელექტრონული ფორმით გაცემულ დოკუმენტებს აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა, თუ ელექტრონული ფორმით გაცემული დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია აუქციონატორის ოფიციალური ვებგვერდის – www.iauction.ge (ან auction.tbilisi.gov.ge) მეშვეობით. ელექტრონული ფორმით გაცემული ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი ჩაბარებულად ჩაითვლება ადრესატის მიერ მისი ელექტრონული ფორმით გაცნობისთანავე.

16. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით შემოსული თანხების (პრივატიზების საფასური, ბე/საბანკო გარანტია, პირგასამტეხლო, საურავი და ა.შ.) საკუთარ ტრანზიტულ ანგარიშებზე მიღებას ახორციელებს აუქციონატორი და უზრუნველყოდს შესაბამისი თანხების ადგილობრივ ბიუჯეტში მიმართვას. ამასთან, აღნიშნული თანხების აუქციონატორის ანგარიშებზე განთავსების მიზანს არ წარმოადგენს რაიმე სარგებლის მიღება.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მმართველი - თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვასთან და განკარგვასთან დაკავშირებით, გარკვეული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი პირი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო;

ბ) პრივატიზება - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ფიზიკური ან/და იურიდიული პირისთვის საკუთრებაში გადაცემა, საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" და ამ წესის შესაბამისად;

გ) საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული თბილისის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ჩამონათვალი;

დ) პრივატიზაციის გეგმა - თბილისის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის საფუძველზე შედგენილი გეგმა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას საპრივატიზაციო ობიექტის დასახელების, მდებარეობის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, აუქციონის ფორმის, პირობების გარეშე ან პირობებიანი აუქციონის, აუქციონის შედეგად მუნიციპალიტეტის მიერ განკარგული ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის სავარაუდო პერიოდის ან/და პერიოდულობის შესახებ;

ე) აუქციონი - (პირობები ან პირობების გარეშე საჯარო აუქციონი, პირობებიან პირობების გარეშე ელექტრონული აუქციონი, ვადა გაგრძელებული აუქციონი, განმეორებითი აუქციონი) – აუქციონზე გატანილი ქონების (უძრავი და მოძრავი ნივთები, აქციები, წილი და სხვ.) პრივატიზების საჯარო რეალიზაცია, სადაც აუქციონატორი წარმოადგენს ოფერენტს, ხოლო აქცეპტანტი ხდებააუქციონისგამარჯვებულიმონაწილე;

ვ) პირობების გარეშე აუქციონი - აუქციონი, რომლის შედეგადაც საკუთრების უფლება მიენიჭება აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ვაჭრობის პროცესში აუქციონატორს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს;

ზ) პირობებიანი აუქციონი - აუქციონი, რომლის შედეგადაც საკუთრების უფლება მიენიჭება აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში აუქციონატორს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს;

თ) ვადაგაგრძელებული აუქციონი - აუქციონი, რომელიც იმართება იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა და ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, ამ ქონების იმავე პირობებით ვადაგაგრძელებული აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ;

ი) განმეორებითი აუქციონი - აუქციონი, რომელიც იმართება იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა და ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, ამ ქონების შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურით ან/და პირობებით, აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ;

კ) აუქციონატორი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი (რწმუნებული პირი) – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქონების მართვის სააგენტო, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საპრივატიზაციო ქონების ნუსხის, საკრებულოს მიერ დადგენილი ფასით და პირობებით აუქციონის გზით რეალიზაცია, აუქციონატორი აუქციონის შედეგების გაფორმებისას მოქმედებს, როგორც აუქციონზე გატანილი/ საპრივატიზებო ქონების მესაკუთრე;

ლ) აუქციონის გამოცხადება – წარმოადგენს აუქციონატორის მიერ პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიმართულ მოწვევას ოფერტზე (აუქციონზე);

მ) მომხმარებელი - აუქციონატორის ვებგვერდზე (www.iauction.ge ან auction.tbilisi.gov.ge) დარეგისტრირებული ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველი ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი (პირთა გაერთიანება);

ნ) განაცხადი – აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი პირის მიერ აუქციონში მონაწილეობის სურვილის გამოხატვა, რითაც ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება აუქციონის ჩატარების წესსა და აუქციონის პირობებს. განაცხადში აღინიშნება ინფორმაცია აუქციონის მონაწილის შესახებ, ქონების დასახელება, ლოტის ნომერი, საწყისი საპრივატიზებო საფასური და სხვა ინფორმაცია;

ო) ბე – ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად აუქციონატორის მიერ მითითებულ ანგარიშზე აუქციონის მონაწილეობის მსურველის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობა. აუქციონში გამარჯვებულს ბე ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას;

პ) საბანკო გარანტია – საბანკო გარანტია უზრუნველყოფს აუქციონის მონაწილის მიერ აუქციონატორის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას. აუქციონში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია წარმოადგინოს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია წერილობითი ფორმით;

ჟ) აუქციონის მონაწილე - პირი, რომელიც ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დაცვით დაიშვება აუქციონზე - აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, მიენიჭება აუქციონის მონაწილის სტატუსი.

რ) აუქციონში გამარჯვებული – პირი, რომელიც აუქციონის პროცესში გამოვლინდება გამარჯვებულად, რომელზეც გაიცემა აუქციონშიგამარჯვებისდამადასტურებელიოქმი, გაფორმდება ხელშეკრულება და გაიცემა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

ს) ლოტი – აუქციონის ფორმით განსაკარგად გატანილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონება. ერთ ლოტში შესაძლებელია გაერთიანდეს რამდენიმე ქონება;

ტ)საწყისი საპრივატიზებო საფასური – აუქციონზე გატანილ ლოტზე (მოძრავი და უძრავი ქონება, წილები, აქციები და სხვა), დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნით დადგენილ საბაზრო ფასზე არანაკლებიოდენობითგანსაზღვრულითანხის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი სააუქციონო კონკურენციის დასაწყები ფასი, რომელიც გამოცხადებულია სააუქციონო კონკურენციის დასაწყებად, შემდგომი ვაჭრობისთვის; ლოტში რამდენიმე ქონების გაერთიანების შემთხვევაში, ლოტის საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვრება ლოტში შემავალი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურების ჯამის ოდენობით.

უ)სრული საპრივატიზებო საფასური – აუქციონის პროცესში დაფიქსირებული, ლოტის შეძენისთვის აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადასახდელი თანხა, რომელიც შემოთავაზებულ იქნა მის მიერ. საპრივატიზებო საფასური არ მოიცავს აუქციონატორის მომსახურების საფასურს და განვადების საფასურს.

ფ) სააუქციონო კონკურენცია – აუქციონის ერთი და იგივე ლოტზე განაცხადის მქონე მონაწილეთა ვაჭრობა ყველაზე მაღალი ბიჯის შეთავაზების გზით გამარჯვებულის გამოსავლენად;

ქ) ბიჯი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრული თანხის მინიმალური ოდენობა, რომელიც აუქციონის მონაწილის მიერ სააუქციონო კონკურენციისას ემატება ლოტის საწყის ფასს ან/და წინა ბიჯის ოდენობას;

ღ) აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (შემდგომში ოქმი) - არის ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება, რომელიც გამოიცემა სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ და რომელშიც აისახება აუქციონის შედეგები, ლოტის პრივატიზაციის ძირითადი პირობები, სრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვადები და მხარეთა უფლება-მოვალეობები. საჯარო აუქციონის შემთხვევაში, ოქმს ხელს აწერს აუქციონში გამარჯვებული და აუქციონატორი (მდივანი და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე).

ყ) ხელშეკრულება - ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც წერილობითი ფორმით ფორმდება აუქციონატორსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს შორის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის შედგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და შეიცავს ლოტის პრივატიზაციის პირობებს, სრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვადებს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს და ქონების შეძენის სხვა პირობებს.

შ) საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა - აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და სრული საპრივატიზებოსაფასურის და მომსახურების საფასურის გადახდის ან/და სხვა სააუქციონო პირობების შესრულების საფუძველზე აუქციონატორის მიერ გაცემული დოკუმენტი, რაც ქონების შემძენისათვის პრივატიზებული ქონების საჯარო რეესტრში ან შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში საკუთრების უფლების რეგისტრაციის ან/და შემდგომი განკარგვის შესაძლებლობას იძლევა.

ჩ) მომსახურების საფასური – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ნორმატიული აქტით დადგენილი თანხის ოდენობა, რომელსაც აუქციონში გამარჯვებული უხდის აუქციონატორს აუქციონის ჩატარებისა და შემდგომი მომსახურებისთვის, მის მიერ მითითებულ ანგარიშზე სრულ საპრივატიზებო საფასურთან ერთად, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის მისაღებად;

ც) ბილინგისსისტემითგადახდა - ანგარიშსწორების მეთოდი, რომლის მეშვეობითაც (www.iauction.ge ან auction.tbilisi.gov.ge) ვებგვერდზე განთავსებული გადახდის ფორმის - ინვოისის შესაბამისად ხორციელდება თანხის სს „ლიბერთი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით გადახდა. აღნიშნული მეთოდი უზრუნველყოფს გადახდილი თანხის ავტომატურ და მყისიერ ასახვას აუქციონატორის ანგარიშზე (ელექტრონული აუქციონის სისტემაში).

მუხლი. 3 ქონების სააუქციონოდ მომზადება

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უძრავ და მოძრავ ქონებას, სარგებლობის უფლებას, ქ. თბილისის წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების აქციებს/წილებს

სააუქციონოდ ამზადებს აუქციონატორი.

2. ქონების სააუქციონოდ მომზადების საფუძველი, მოძრავი ქონების შემთხვევაში, შეიძლება იყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო და/ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მომართვა, ნებისმიერი დაინტერესებული პირის მომართვა, ასევე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მომართვა/თანხმობა, წილებისა და აქციების შემთხვევაში - ქ. თბილისის მთავრობის მიერ მიღებული შესაბამისი განკარგულება, სარგებლობის უფლების შემთხვევაში - დაინტერესებული პირის მომართვა, ხოლო უძრავი ქონების მომზადება ხდება დაინტერესებული პირების განცხადების, მათ შორის ელექტრონული განცხადების საფუძველზე ან/და აუქციონატორის შეხედულებისამებრ.

3. ქონების სააუქციონოდ მომზადება გულისხმობს ქონების შერჩევას, აზომვას, რეგისტრაციას და სხვა აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.

მუხლი 4. ელექტრონული აუქციონის გამოცხადება და ჩატარებისორგანიზება

1. ელექტრონული აუქციონის ორგანიზებას და ჩატარებას ახორციელებს აუქციონატორი.

2. აუქციონატორი საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას იწყებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული პრივატიზაციის გეგმის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ განკარგულების საფუძველზე.

3. აუქციონის დასაწყისად ითვლება აუქციონატორის მიერ აუქციონის დაწყების შესახებ ინფორმაციის ვებგვერდზე (www.iauction.ge ან auction.tbilisi.gov.ge) გამოცხადების მომენტი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) აუქციონატორის დასახელებას;

ბ) საპრივატიზებო ქონებისდასახელებას;

გ) ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დროს, რომელიც არ უნდა იყოს 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები და 45 კალენდარულ დღეზე მეტი;

დ) საპრივატიზებო ქონების საწყის საპრივატიზებო საფასურს;

ე) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს ოდენობას, რომელიც უნდა შეადგენდეს საპრივატიზებო ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 10%-ს და არა უმეტეს 80%-ს. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის მოქმედების

ვადა არანაკლებ 15 დღით უნდა აღემატებოდეს მუნიციპალიტეტის მიერ განკარგული ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვადას;

ვ) ელექტრონული აუქციონის პირობებს (პირობებიანი ელექტრონული აუქციონისშემთხვევაში);

ზ) ბიჯის ოდენობას;

თ) მომსახურების საფასურის ოდენობას

ი) აუქციონატორის საკონტაქტო ინფორმაციას;

კ) საპრივატიზებო ქონებასთან დაკავშირებულ სხვაინფორმაციას;

ლ) ყველას ხვაინფორმაციას, რომელსაცაუქციონატორიჩათვლისმიზანშეწონილად.

5. ვებგვერდზე გამოქვეყნებას ექვემდებარება ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი, რეგისტრაციის გავლის, ელექტრონული განცხადებისა და საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის პირობები.

6. აქციების ან წილების პრივატიზების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების გარდა, დამატებით, უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) იურიდიული პირის იურიდიულ მისამართს და საიდენტიფიკაციო ნომერს;

ბ) გამოშვებული აქციების საერთო რაოდენობას;

გ) ერთი აქციის ნომინალურ ღირებულებას;

დ) აქციების ან წილის საწყის საპრივატიზებო საფასურს და წილს კაპიტალში;

ე) ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

ვ) ყველას ხვა ინფორმაციას, რომელსაც აუქციონატორი ჩათვლის მიზანშეწონილად.

7. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს უფლება აქვს მიიღოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტის შესახებ აუქციონატორის ხელთარსებული, კანონმდებლობითდაშვებული, ნებისმიერიინფორმაცია.

8. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ქონებას.

მუხლი 5. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის პირობები

1. ელექტრონული აუქციონი ტარდება მისი გამოცხადების დღიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ამ წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც, დაინტერესებულ პირებს, რომლებიც ამ მუხლის მე-2 - 4 პუნქტების და მე-6 მუხლის შესაბამისად, გაივლიან რეგისტრაციას ელექტრონულად, საშუალება ეძლევათ გააკეთონ სასურველი ფასის შეთავაზება, საწყის საპრივატიზებო საფასურზე დამატებით.

2. ელექტრონულაუქციონშიმონაწილეობისმისაღებადსავალდებულოა:

ა)აუქციონატორის ვებგვერდზე (www.iauction.ge ან auction.tbilisi.gov.ge) დარეგისტრირება (რეგისტრირდებიანროგორცფიზიკური, ასევე,იურიდიულიპირები);

ბ) რეგისტრაციის დროს ელექტრონული აუქციონის წესების და პირობებიანი აუქციონის შემთხვევაშიაუქციონის პირობების გაცნობადამასზეთანხმობისგაცხადება;

გ) ბეს გადახდა ან უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წერილობითი ფორმით წარდგენა.

3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რამდენიმე ლოტის პრივატიზებისთვის მოწყობილ ელექტრონულ აუქციონში, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია უნდა წარადგინოს ან ბე უნდა გადაიხადოს თითოეული საპრივატიზაციო ქონებისთვის ცალ-ცალკე.

4. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველს შეიძლება უარი ეთქვას ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობაზე, თუ:

ა) ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ შეიძლება ცნობილ იქნეს მუნიციპალიტეტის ქონების შემძენად;

ბ) დარღვეულია ამ მუხლის პირველი, მე-2 ან/დამე-3 პუნქტისმოთხოვნები.

მუხლი 6. სისტემაში შესვლა, აუქციონში მონაწილეობის მსურველის ანგარიში და ლოტების შერჩევის პროცესი

1. აუქციონში მონაწილეობის მსურველი გადის რეგისტრაციას აუქციონატორის

ვებგვერდზე (www.iauction.ge ან auction.tbilisi.gov.ge), სადაც ავსებს პირადი მონაცემების ველებს და აფიქსირებს მომხმარებლის სახელს, ეცნობა ელექტრონული აუქციონის დაწყებისა და დასრულების დროს, ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესებს და ეთანხმება მათ.

2. აუქციონატორს არ ეკისრება აუქციონში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორის გადამოწმების ვალდებულება. წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორესა და უტყუარობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება აუქციონში მონაწილეობის მსურველს.

3. აუქციონატორის ვებგვერდზე დარეგისტრირებული აუქციონში მონაწილეობის მსურველი სისტემაში შედის „მომხმარებლის სახელისა" და „პაროლის" შესაბამის გრაფაში - „სისტემაში შესვლა" შეყვანის გზით.

4. ვებგვერდზე რეგისტრირებულ აუქციონში მონაწილეობის მსურველს აუქიონატორის ვებგვერდზე აქვს საკუთარი ანგარიში, სადაც შეუძლია ნახოს მის მიერ შევსებული პირადი ინფორმაცია და სურვილის შემთხვევაში, შეიტანოს მასში გარკვეული ცვლილებები.

5. აუქციონში მონაწილეობის მსურველ პირს შესაძლებლობა ეძლევა მიმდინარე აუქციონებზე გამოცხადებული ლოტებიდან შეარჩიოს ერთი ან რამდენიმე ლოტი. შერჩეული ლოტების ჩამონათვალი აისახება მის პირად ანგარიშზე.

6. შერჩეულ ლოტზე/ლოტებზე ბეს გადახდის ან საბანკო გარანტიის წარმოდგენის და აუქციონატორის მიერ განაცხადის მიღების (დადასტურების) შემდეგ, მომხმარებელს ენიჭება აუქციონის მონაწილის სტატუსი, ეძლევა საშუალება მონაწილეობა მიიღოს ლოტზე/ლოტებზე გამართულ ელექტრონულ ვაჭრობაში და მასზე ვრცელდება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები.

7. ლოტის შერჩევა და განაცხადის წარმოდგენა (აუქციონში მონაწილეობის სურვილის დადასტურება) არ წარმოშობს ვებგვერდზე რეგისტრირებული აუქციონში მონაწილეობის მსურველისთვის აუქციონში მონაწილეობის ვალდებულებას, თუკი არ იქნება გადახდილი შესაბამისი ბეს თანხა ან/და არ იქნება წარმოდგენილი საბანკო გარანტია.

8. ბეს თანხის არასწორად და არასრულად გადახდის ან არასრულ თანხაზე წარმოდგენილი საბანკო გარანტიის შემთხვევაში, აუქციონში მონაწილეობის მსურველ პირს არ წარმოეშვება აუქციონში მონაწილეობის უფლება. აღნიშნულ შემთხვევაში, არასრულად გადახდილი ბეს თანხა ან საბანკო გარანტია უკან ბრუნდება.

9. ელექტრონული აუქციონის მსვლელობის პროცესში მონაწილეთა რაოდენობა არ არის შეზღუდული. აუქციონში მონაწილისათვის დაფარულია დანარჩენ მონაწილეთა ვინაობა.

მუხლი 7. ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი

1. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველი, ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობისთვის, რეგისტრირდება აუქციონატორის ვებგვერდზე, ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-6 მუხლის შესაბამისად, რის შემდეგაც ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველს (მომხმარებელს) ენიჭება ელექტრონულ აუქციონში მონაწილის სტატუსი.

2. ელექტრონული აუქციონი ტარდება ონლაინ რეჟიმში.

3. ელექტრონული აუქციონის ვაჭრობის დროს ფასის მატება ჩანს ონლაინ რეჟიმში, აუქციონის მიმდინარეობისას აუქციონის მონაწილეს საშუალება აქვს სრულად იხილოს ფასების შეთავაზების ისტორია, როგორც ვაჭრობის გვერდზე, ასევე ვებგვერდზე არსებულ საკუთარ ანგარიშში.

4. ელექტრონულ აუქციონში მონაწილე პირს, რომელსაც სურს საწყისი ფასიდან დაიწყოს ვაჭრობა, ონლაინ რეჟიმში ამატებს ფასს (რაც ნიშნავს საწყის ფასზე ბიჯის ან მისთვის სასურველი, ბიჯზე მეტი თანხის დამატებას), რომელიც, ასევე, ფიქსირდებაონლაინრეჟიმში. ვაჭრობა გრძელდება, სანამ რომელიმე მონაწილე არ დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს. ქონება ითვლება გაყიდულად ელექტრონული აუქციონის იმ მონაწილეზე, რომლის მიერაც, ონლაინ რეჟიმში, ვაჭრობის დასრულების მომენტისთვის, შეთავაზებული იქნება ყველაზე მაღალი ფასი.

5. აუქციონში მონაწილეს არ შეუძლია დადგენილი ბიჯის ოდენობაზე დაბალი ბიჯის დაფიქსირება, ამასთან, შუალედში აუქციონის სხვა მონაწილის მიერ ფასის შეთავაზების დაფიქსირების გარეშე, არ შეუძლია ორჯერ ზედიზედ ფასის შეთავაზება.

6. თუ ელექტრონული აუქციონის დასრულებამდე (მითითებული უნდა იყოს ელექტრონული აუქციონის დასრულების ზუსტი დრო) ბოლო 5 წუთის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, მაშინ ფასის შეთავაზების დრო გაგრძელდება დასრულების მითითებული მომენტიდან 5 წუთით. თუ ამ დროის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, დრო კიდევ გაგრძელდება 5 წუთით, სანამ არ დაფიქსირდება საბოლოო თანხა. მაგრამ, თუ დამატებული დროის განმავლობაში ახალი ფასი არ იქნება შეთავაზებული, ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება საბოლოო ფასის შემთავაზებელი პირი.

7. აუქციონის დასრულების ვადის ან/და ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლისთანავე ლოტზე წყდება ვაჭრობა.

8. ელექტრონული აუქციონის გამოცხადებიდან (დაწყებიდან) მის დასრულებამდე არაუგვიანეს წინა სამუშო დღის 18 საათისა, აუქციონში მონაწილეობის მსურველს შეუძლია გადაიხადოს ბე

უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ან წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტში მითითებული ვადის გასვლიდან ელექტრონული აუქციონის დასრულებამდე არაუგვიანეს 2 წუთისა, ბეს გადახდა აუქციონში მონაწილეობის მსურველს შეუძლია მხოლოდ ბილინგის სისტემით.

10. თუ აუქციონის დასრულების დღე ემთხვევა დასვენების ან/და უქმე დღეს, აუქციონი დასრულდება და გამარჯვებული გამოვლინდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს.

11. ვაჭრობის დასრულებისას, გამარჯვებულსა და ელექტრონული აუქციონის სხვა მონაწილეებს, ელექტრონული გზით (მათ მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე), გაეგზავნებათ ინფორმაცია ელექტრონული აუქციონის შედეგების შესახებ, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად. ამასთან, აუქციონის ყველა მონაწილეს საშუალება ეძლევა პრივატიზებული ლოტის, სრული საპრივატიზებო საფასურის და აუქციონის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია იხილონ ვებგვერდის საშუალებით.

12. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს, ელექტრონული გზით, ეცნობება მუნიციპალიტეტის მიერ განკარგული ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის თარიღი და მუნიციპალიტეტის მიერ განკარგული ქონების გადაცემის პირობები, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად. ამასთან, აუქციონში გამარჯვებულს შესაძლებლობა აქვს აუქციონატორის ვებგვერდის მეშვეობით გაეცნოს და ჩამოტვირთოს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი, რომელიც წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს და აქვს იურიდიული ძალა აუქციონატორის ხელმოწერისა და ბეჭდის გარეშე.

13. ელექტრონულ აუქციონში დამარცხებულ მონაწილეებს ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია დაუბრუნდებათ ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. ბე აუქციონში დამარცხებულს უბრუნდება მის მიერ მითითებულ ანგარიშზე, ხოლო საბანკო გარანტია დამარცხებულს უბრუნდება მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 8. აუქციონის მონაწილის პასუხისმგებლობა

აუქციონის მონაწილე კარგავს წარმოდგენილ საბანკო გარანტიას ან მას არ უბრუნდება გადახდილი ბე, შემდეგ შემთხვევებში:

ა) აუქციონის არც ერთი მონაწილე არ დააფიქსირებს ბიჯს;

ბ) აუქციონში მხოლოდ ერთი მონაწილეა და მონაწილე არ დააფიქსირებს ბიჯს;

გ) აუქციონში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილია არასწორი ან/და არამართლზომიერი ინფორმაცია, რის გამოც მონაწილეს მიეცა აუქციონში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა;

დ) აუქციონის მონაწილე ხელს შეუშლის აუქციონის ჩატარებას.

ე) დაარღვია ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" და ამ წესით გათვალისწინებული პირობები.

მუხლი 9. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

1. აუქციონატორი უფლებამოსილია:

ა) საპრივატიზებო ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის ცვლილებების შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების საფუძველზე, ცვლილებების შესაბამისად შეცვალოს მიმდინარე ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის წესი და მისი პირობები (პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში) და განათავსოს შესაბამის ვებგვერდზე;

ბ) შეწყვიტოს ან შეაჩეროს აუქციონთან დაკავშირებული ნებისმიერი მომსახურება ტექნიკური პრობლემის, რაიმე შეცდომის, უზუსტობის, მომხმარებლის მხრიდან უკანონო მოქმედებების განხორციელების ან სხვა მიზეზების გამო, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ვებგვერდს ან აუქციონატორს;

გ) შეაჩეროს ან შეწყვიტოს რეგისტრაცია და შესვლა ვებგვერდზე, თუ ჩათვლის, რომ მომხმარებელი მოქმედებს ამ წესის მოთხოვნათა დარღვევით;

დ) გააკონტროლოს ყველა მოქმედება მომხმარებლის მხრიდან და რაიმე დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები.

ე) ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია მიიღოს ელექტრონული ფორმით.

2. აუქციონატორი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულ პირს აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში მოსთხოვოს აუქციონატორისთვის საჭირო ინფორმაციული ხასიათის ნებისმიერი სათანადო წესით დამოწმებული დოკუმენტის წარმოდგენა.

3. აუქციონატორის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაში, ელექტრონულ აუქციონში მონაწილეს, მისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე, უბრუნდება

ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, თუ შეცვლილი წესითა და ელექტრონული აუქციონის პირობებით (პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში) აღარ სურს ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობა.

4. აუქციონატორი ვალდებულია, შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის და მომსახურების საფასურის გადახდის ან/და აუქციონის პირობების შესრულების შემდეგ, გადასცეს ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს საკუთრების მოწმობა შეძენილ ქონებაზე (ხოლო ვალდებულებების არსებობის შემთხვევაში – საკუთრების მოწმობა ვალდებულებების შესრულების პირობით).

5. აუქციონში მონაწილე უფლებამოსილია:

ა) შეარჩიოს ლოტიდაშეიძინოსმუნიციპალიტეტის ქონება;

ბ) ნებისმიერდროსგანაახლოსთავისიპირადიმონაცემები.

6. თუ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული უცხო ქვეყნის მოქალაქეა, იგი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე, აუქციონატორის მოთხოვნის შემთხვევაში, აუქციონატორს წარუდგინოს უცხო ქვეყნის მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი, საჭიროების შემთხვევაში – წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი, სათანადო წესით დამოწმებული დოკუმენტაცია.

მუხლი10. ანგარიშსწორება

1. შესაბამისი პირობების არსებობისას საბანკო გარანტიის გარანტისაგან მოთხოვნის უფლებამოსილება ენიჭება აუქციონატორს.

2. აუქციონში გამარჯვებულის მიერ სააუქციონო პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის გამო აუქციონის შედეგების გაუქმებისას, არაუგვიანეს შედეგების გაუქმებიდან 10 კალენდარული დღისა, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია გადაიხადოს აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასური.

3. თუ აუქციონში მონაწილეს, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, წარმოდგენილი ჰქონდა საბანკო გარანტია, აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, იგი იხდის სრულ საპრივატიზებო საფასურს. სრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის შემდეგ, აუქციონში გამარჯვებულს საბანკო გარანტია უბრუნდება უკან.

4. ბეს გადახდის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულს ბე ეთვლება ანგარიშსწორებისას და ის იხდის საბოლოო თანხას – სრული საპრივატიზებო საფასურისა და ბეს სხვაობას.

5. აუქციონში გამარჯვებული, საბოლოო თანხას იხდის საბანკო დაწესებულებაში აუქციონატორის მიერ მითითებულ ანგარიშზე ან აუქციონატორის ვებგვერდის საშუალებით.

6. აუქციონატორის ვებგვერდზე აუქციონში მონაწილისათვის ხელმისაწვდომია:

ა) ბეს გადახდის დოკუმენტი (ინვოისი), რომელიც შეიცავს ინფორმაციას აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირის შესახებ, ინფორმაციას აუქციონის და ლოტის ნომრის შესახებ, ინფორმაციას თანხის მიმღების შესახებ, დასახელების და ანგარიშის ნომრების მითითებით.

ბ) ლოტის სრული საპრივატიზებო საფასურის, მომსახურების საფასურის და განვადებით სარგებლობის შემთხვევაში, განვადების საფასურის გადახდის დოკუმენტი (ინვოისი), რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანხაზე, გადამხდელზე, ინფორმაციას თანხის მიმღების შესახებ, დასახელების და ანგარიშის ნომრების მითითებით.

7. მომხმარებელი ბეჭდავს გადახდის დოკუმენტს და აღნიშნული დოკუემნტის საფუძველზე, საბანკო დაწესებულებაში იხდის შესაბამის თანხას.

მუხლი 11. გარიგებათაგაფორმებისწესი

1. ელექტრონული აუქციონისფორმითქონებისპრივატიზებისას, ელექტრონულ აუქციონშიგამარჯვებისდამადასტურებელიოქმის (შემდგომში - ოქმი) საფუძველზე 30 კალენდარული დღის ვადაში, ფორმდება აუქციონატორსა და აუქციონში გამარჯვებულს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში - ხელშეკრულება).

2. პირობების გარეშე გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონშიგამარჯვებულიპირი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულიდღისვადაში იხდის შეძენილი ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურს და მომსახურების საფასურს, ხოლო პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში - ელექტრონული აუქციონის პირობებით გათვალისწინებულვ ადაში, იხდის შეძენილი ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურს და მომსახურების საფასურს, ხოლო განვადებით სარგებლობის შემთხვევაში განვადების საფასურსაც. აუქციონში გამარჯვებულმა ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე უნდა შეიტანოს თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ ელექტრონულ აუქციონზე შემოთავაზებულ/დასახელებულ საბოლოო ფასს.

3.ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმა ართმევს მას ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის სტატუსს და გადახდილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიაარუბრუნდება.

4.ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირზე ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

5.ელექტრონულ აუქციონშიგამარჯვებულს, სრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის შემთხვევაში, წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია უბრუნდება უკან.

6.თუ გამოცხადებული იყო ელექტრონული აუქციონი პირობებით, ოქმი უნდა შეიცავდეს დადგენილ პირობებს, მუნიციპალიტეტის მიერ განკარგული ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვადებს და ამ წესის მე-12 მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის, მათ შორის, პირგასამტეხლოს დაკისრების შემთხვევებს.

7. ოქმისა და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის სრულად დაფარვამდე აუქციონში გამარჯვებულს მუნიციპალიტეტის ქონება გადაეცემა მფლობელობაში, ამასთან, აუქციონში გამარჯვებული პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

8. პირობების გარეშე გამოცხადებული ელექტრონული აუქციონით ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების უფლება გადადის შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის და მომსახურების საფასურის დათქმულ დროში სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და შეძენილი ქონების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის შემდეგ. თუ გამარჯვებული პირი დათქმულ ვადაში არ გადაიხდის შეძენილი ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურს და მომსახურების საფასურს ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიაარუბრუნდება, ასევე, გადახდილი თანხები და ქონებაზე გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.

9. პირობებით გამოცხადებული ელექტრონული აუქციონით ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების უფლება გადადის შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის, მომსახურების საფასურის და განვადების საფასურის

(ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და შეძენილი ქონების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის შემდეგ. ხოლო, წილებისა და აქციების შემთხვევაში -- შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ. იმ შემთხვევაში. აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების მოწმობა გაიცემა და საკუთრების უფლება გადადის ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით.

10. თუ სააუქციონო ლოტი შედგება რამდენიმე ქონებისგან, იმ ქონებაზე, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება შემდგომ რეგისტრაციას, გაიცემა ერთი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

11.შემდგომ რეგისტრაციას დაქვემდებარებულ თითოეულ ქონებაზე გაიცემა ცალკე საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

12.აუქციონში გამარჯვებულს შეუძლია აუქციონატორის ვებ გვერდიდან ჩამოტვირთოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

13. ელექტრონული საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს, თუ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა დოკუმენტის ნამდვილობა გადაამოწმოს აუქციონატორის ვებგვერდის მეშვეობით. ელექტრონულ საკუთრების უფლების დამადასტურებელ მოწმობას აქვს იურიდიული ძალა აუქციონატორის ხელმოწერისა და ბეჭდის გარეშე.

14. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციას უზრუნველყოფს აუქციონატორი.

15. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმას ამტკიცებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წარდგინებით.

მუხლი 12. აუქციონშიგამარჯვებულისპასუხისმგებლობა

1. თუ პირობების გარეშე ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი, დადგენილვადებში უარს განაცხადებს ხელშეკრულების ხელმოწერაზე, არგადაიხდის ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურს და მომსახურების საფასურს, მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე, შეტანილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება და გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.

2. პირობებით გამოცხადებული ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, შეძენილი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას

ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (ელექტრონული აუქციონის პირობები), მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და მოთხოვნისთანავე, მათ შესრულებაზე წარუდგინოს ინფორმაცია აუქციონატორს. შესაძლებელია, ოქმითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქნეს ინფორმაციის წარდგენის სხვა ვადა.

3. აუქციონში გამარჯვებულს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება გადაცემული ქონება განკარგოს, გადასცეს სხვას სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ამასთან, იგიპ ასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასადადაცვაზე.

4. საკუთრების უფლების გადაცემის შემდეგ, პირობებიანი აუქციონის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებული, შეძენილი ქონების გასხვისების შემთხვევაში, ვალდებულია, ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმ ავეპირობებით, რაც გათვალისწინებული იყო ოქმითა და ხელშეკრულებით. ქონების გასხვისების შესახებ ინფორმაცია წერილობით უნდა ეცნობოს აუქციონატორს.

5. შეძენილი ქონების სააუქციონო პირობებთან მიმართებაში ყოველი ახალი მესაკუთრე წარმოადგენს ქონების შემძენის უფლებამონაცვლეს.

6. იმ შემთხვევაში თუკი ოქმითა და ხელშეკრულებით განსაზღვრულია შეზღუდვები, აღნიშნული განიხილება როგორც შეძენილი ქონების შემდგომი განკარგვისა და განვითარებისთვის გასათვალისწინებელი პირობა.

7. პრივატიზებულ ობიექტზე ნებისმიერი ნებართვა, ლიცენზია გაიცემა ან/და სხვა ნებისმიერი საქმიანობა წარმოებს საპრივატიზებო შეზღუდვების გათვალისწინებით.

8. ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გარდა პირობების გარეშე გამოცხადებული აუქციონისა, აუქციონში გამარჯვებული იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ოქმითა და ხელშეკრულებით ელექტრონული აუქციონის პირობებიდან გამომდინარე. კერძოდ:

ა) ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, სრული საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელი თანხის 0.1% - დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1% - დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

გ) აუქციონში გამარჯვებულის მიერ სხვა სააუქციონო და ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისშ ემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველდარღვევაზე - ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05%.

9. პირობებით გამოცხადებული აუქციონის ოქმისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების (გარდა გრაფიკით განვადების) განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა აუქციონატორის მიერ განიხილება ელექტრონული აუქციონის შედეგების (ოქმის) გაუქმების საფუძვლად, ამ შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ უბრუნდება, ასევე, გადახდილი თანხები და ქონებაზე გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.

მუხლი 13. განმეორებითი ელექტრონული აუქციონი

1. თუ არ მოხდება ელექტრონული აუქციონის ფორმით გატანილი ქონების განკარგვა, ამ ქონების შეცვლილი საწყისი საფასურით ან/და პირობებით, ელექტრონული აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ გადაწყვეტილება განმეორებით ელექტრონულ აუქციონად ჩაითვლება. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეიძლება 50 პროცენტამდე შემცირდეს, ხოლო თუ ქონება ამ საფასურად გამოტანის შემდეგაც არ გაიყიდა, საწყისი საპრივატიზებო საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისას, გამოიყენება ამ წესით დადგენილი ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესები.

მუხლი 14. ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონი

1. თუ არ მოხდება ელექტრონული აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ამ ქონების იმავე პირობებით და ფასით, ვადაგაგრძელებული აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გამოიყენება ამ წესით დადგენილი ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესები.

მუხლი 15. საჯარო აუქციონისორგანიზება

1. საჯარო აუქციონის ორგანიზებას ახორციელებს აუქციონატორი.

2. აუქციონატორი უზრუნველყოფს საჯარო აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას მის ვებგვერდზე და ადგილობრივ ან სხვა ბეჭდვით საინფორმაციო გამოცემაში.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) აუქციონატორის დასახელებას;

ბ) საჯარო აუქციონის პირობებს და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებს;

გ) საპრივატიზებო ქონების დასახელებას;

დ) განაცხადის მიღების დაწყების, დამთავრებისდა საჯარო აუქციონის ჩატარების თარიღს;

ე) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს ოდენობას, რომელიც უნდა შეადგენდეს საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 10%-ს და არა უმეტეს 80%-ს და რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 30 დღით უნდა აღემატებოდეს მუნიციპალიტეტის მიერ განკარგული ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვადას; ბიჯის სიდიდეს და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასს, რომლის ოდენობას განსაზღვრავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა;

ვ) განაცხადის მიღების ადგილს (მისამართი) და საკონტაქტო ინფორმაციას;

ზ) მუნიციპალიტეტის ქონებასთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას.

5. აქციების ან წილების პრივატიზების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების გარდა, დამატებით, უნდა შეიცავდეს ამ წესის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ მონაცემებს.

6. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიიღოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ქონების შესახებ აუქციონატორის ხელთარსებული, კანონმდებლობით დაშვებული, ნებისმიერი ინფორმაცია.

7. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირსუფლება აქვს წინასწარ გაეცნოს საპრივატიზებო ქონებას.

8. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა საჯარო აუქციონის ორგანიზების მიზნით, ქმნის მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიას, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, აუქციონატორი, რეგისტრატორი, სააუქციონო კომისიის მდივანი და სააუქციონო კომისიის წევრები. აღნიშნული სააუქციონო კომისია აუქციონატორის სახელით ადგენს საჯარო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმს. მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის წევრის - აუქციონატორის ფუნქციას ახორციელებს კომისიის შემადგენლობაში აუქციონატორად განსაზღვრული ფიზიკური პირი.

მუხლი 16. საჯარო აუქციონშიმონაწილეობისპირობები

1. საჯარო აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განაცხადების მიღება მთავრდება დადგენილ დღეს და საათს. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი განაცხადება არ მიიღება.

2. საჯარო აუქციონი ტარდება მისი გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს. საჯარო აუქციონში მონაწილეობის მისაღებადგანაცხადების მიღება მიმდინარეობს საჯარო აუქციონისჩატარების დღის ჩათვლით და გამყიდველის მიერ დადგენილ საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც საჯარო აუქციონის გამოცხადებიდან ოცდამეათე კალენდარული დღე ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უქმე დღეს, განაცხადების მიღება გრძელდება და წყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე.

3. საჯარო აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი საჯარო აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას საჯარო აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველის შესახებ, ქ. თბილისის მუნიციპლიტეტის იმ ქონების დასახელებას, რომლის შეძენაც სურს საჯარო აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველს, ლოტის ნომერს, საპრივატიზებო ქონების საწყის საპრივატიზებო საფასურს. პირობებით გამოცხადებული საჯარო აუქციონის შემთხვევაში, განაცხადში უნდა აისახოს, რომ საჯარო აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი გაეცნო და ეთანხმება აუქციონის წესსა და პირობებს;

ბ) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბესდა საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს (უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს აუქციონატორის მიერ მითითებულ ანგარიშზე);

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

დ) სანოტარო წესით დამოწმებულ მინდობილობას, თუ საჯარო აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. საჯარო აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველმა, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რამდენიმე ქონების პრივატიზებისათვის გამოცხადებულ საჯარო აუქციონში, ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური უნდა გადაიხადოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის თითოეული ქონებისათვის ცალ-ცალკე.

5. თუ საჯარო აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველის მიერ წარდგენილი ყველა დოკუმენტი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, რეგისტრატორი აკეთებს შესაბამის ჩანაწერს „აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალში“, იტოვებს წარდგენილ დოკუმენტაციას და პირს გადასცემს საჯარო

აუქციონში მონაწილის ბილეთს. საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთით პირი ღებულობს საჯარო აუქციონში მონაწილის (შემდგომში - მონაწილე) სტატუსს.

6. მონაწილეს უფლება აქვს ბეს/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის დაუკავებლად უარი განაცხადოს საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, მხოლოდ, განაცხადის მიღების პერიოდში.

7. მონაწილეს შეიძლება უარიეთქვას საჯარო აუქციონშიმონაწილეობაზე, თუ:

ა) განაცხადის წარმდგენი პირი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ შეიძლება ცნობილ იქნეს მუნიციპალიტეტის ქონებისშემძენად;

ბ) დარღვეულია ამ მუხლისპირველი, მე-2, მე-3 ან მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

მუხლი 17. საჯარო აუქციონისჩატარებისწესი

1. მონაწილე საჯარო აუქციონის დაწყებამდე შედის დარბაზში, სადაც ტარდება საჯარო აუქციონი, საჯარო აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთს და იღებს სპეციალურ დაფას, რომლის ნომერიც შეესაბამება მის საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთზე აღნიშნულ ნომერს.

2. აუქციონატორი ადარებს გაცემული ნომრიანი სპეციალური დაფების რაოდენობას შესული განაცხადების რაოდენობასთან, რითაც აზუსტებს მონაწილეთა რაოდენობას.

3. საჯარო აუქციონს ატარებს აუქციონატორი.

4. მუნიციპალიტეტის თითოეულ საპრივატიზებო ქონებაზე ვაჭრობის დაწყებისას, აუქციონატორი აცხადებს მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ქონების დასახელებას, მის საწყის საპრივატიზებო საფასურს, ბიჯს (ბიჯის სიდიდეს მუნიციპალიტეტის ყოველიკონკრეტულიქონებისათვისგანსაზღვრავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა).

5. საჯარო აუქციონზევაჭრობის დასაწყისად ითვლება ლოტზე საწყისი საპრივატიზებო საფასურის გამოცხადების მომენტი. ვაჭრობის მიმდინარეობის დროს,დაუშვებელია მონაწილეთა დარბაზში გადაადგილება.

6. აუქციონის მონაწილე, რომელსაცსურსსაწყისიფასიდანდაიწყოსვაჭრობა, სწევსთავის სპეციალურ დაფას (რაც ნიშნავს საწყის ფასზე ბიჯის დამატებას). აუქციონატორი აფიქსირებს მას და სთხოვს მონაწილეებს გააგრძელონ ვაჭრობა, სანამ რომელიმე არ

დაასახელებს ყველაზე მაღალფასს. ყველაზე მაღალი ფასის სამჯერ გამოცხადებისა და აუქციონატორის მიერ ჩაქუჩის დარტყმის შემდეგ, მუნიციპალიტეტის ქონება ითვლება გასხვისებულად იმ აუქციონის მონაწილეზე, რომელმაც აუქციონატორს ყველაზე მაღალი ფასი შესთავაზა.

7. საჯარო აუქციონის ფორმით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, საჯარო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი შეიცავს მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების ძირითად პირობებს და მხარეთა უფლება-მოვალეობებს. აღნიშნული ოქმის საფუძველზე ფორმდება ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერს აუქციონშიგამარჯვებული და მუნიციპალიტეტის ქონების მმართველი. ოქმში ასევე აისახება აუქციონის მიმდინარეობა, მონაწილეთა რაოდენობა, დაფიქსირებული ბიჯები და საბოლოო შედეგი.

8. თუ საჯარო აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს საჯარო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ან/და შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა საჯარო აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება.

9. თუ საჯარო აუქციონი არ შედგება იმ მიზეზით, რომ აუქციონში მონაწილეები, რომლებიც ესწრებიან საჯარო აუქციონს, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, შედგება ოქმი არშ ემდგარი საჯარო აუქციონის შესახებ და აუქციონში მონაწილეებს შეტანილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დაუბრუნდებათ.

10. სააუქციონო კომისია საჯარო აუქციონის ჩატარებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში ამზადებს მოხსენებით ბარათს, რომლის საფუძველზეც საჯარო აუქციონში მონაწილეებს, რომლებმაც ვერ გაიმარჯვეს საჯარო აუქციონში, აუქციონის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. უბრუნდებათ მათ მიერ გადახდილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია. მოხსენებით ბარათს ხელს აწერს სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე და სააუქციონო კომისიის მდივანი.

11. ქონების შემძენის მიერ გადახდილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურიაუქციონატორის მიერ სრულად ირიცხება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მუხლი 18. განმეორებითი საჯარო აუქციონი

1. თუ არ მოხდება საჯარო აუქციონის ფორმით გამოტანილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ამ ქონების შეცვლილი საწყისი საფასურით ან/და პირობებით, საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ გადაწყვეტილება განმეორებით საჯარო აუქციონად ჩაითვლება. განმეორებით საჯარო აუქციონზე ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეიძლება 50 პროცენტამდე შემცირდეს, ხოლო თუ ქონება ამ საფასურად გამოტანის შემდეგაც არ გაიყიდა, საწყისი საპრივატიზებო საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს.
2. ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისას, გამოიყენება ამ წესით დადგენილი საჯარო აუქციონის ჩატარების წესები.

მუხლი 19. ვადაგაგრძელებული საჯარო აუქციონი

1. თუ არ მოხდება საჯარო აუქციონის ფორმით გამოტანილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ქონების იმავე პირობებითა და ფასით, ვადაგაგრძელებული აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ.
2. ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისას, გამოიყენება ამ წესით დადგენილი საჯარო აუქციონის ჩატარების წესები.

მუხლი 20. გარიგებათაგაფორმებისწესი

1. საჯარო აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, აუქციონატორისა და აუქციონში გამარჯვებულის მიერ ხელმოწერილი ოქმის საფუძველზე, 30 კალენდარული დღის ვადაში, ფორმდება წერილობითი ხელშეკრულება.
2. საჯარო აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, გარიგებათა გასაფორმებლად გამოიყენება ამ წესის მე-11 მუხლის მე-2-14 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 21. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის პასუხისმგებლობა საჯარო აუქციონის შემთხვევაში

საჯარო აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ წესის მე-12 მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 22. პირობებით გამოცხადებული აუქციონი

1. პრივატიზაციის გეგმის მიხედვით, სხვა პირობებთან ერთად, აუქციონის პირობაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს:

ა) ლოტის ფაქტობრივი მდებარეობა;

ბ) ლოტის ფაქტობრივი მდგომარეობა;

გ) ლოტის განვადებით პრივატიზაცია, არაუმეტეს 2 წლის ვადით;

დ) უძრავი ქონების შემთხვევაში ლოტზე ან/და სხვა უძრავ ქონებაზე ინვესტიციის განხორციელება;

ე) ქალაქგეგმარებითი და ქალაქმშენებლობითი შეზღუდვები ან/და ვალდებულებები;

ვ) სხვა პირობები, რაც მიზანშეწონილია სააუქციონო ლოტის საპრივატიზაციოდ.

2. ერთ ლოტზე შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს რამდენიმე პირობა.

3. თუ პირობებით გამოცხადებული აუქციონზე გატანილი ქონება ექვემდებარება მარეგისტრირებელ ორგანოში სავალდებულო რეგისტრაციას. აუქციონის პირობით განსაზღვრული შეზღუდვა ან/და ვალდებულება ექვემდებარება შესაბამის რეგისტრაციას.

4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობად საინვესტიციო ვალდებულების არსებობის შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის ვადაში წარადგინოს საინვესტიციო ვალდებულების არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც არანაკლებ 2 თვით უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის ამ პუნქტში მითითებული თანხის ოდენობის შეცვლა დასაშვებია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

5. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია მისი მოქმედების განმავლობაში უზრუნველყოფს აუქციონში გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად დარიცხული პირგასამტეხლოს მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

6. აუქციონში გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევაში, განიხილება უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხიდან დარიცხული პირგასამტეხლოს შესაბამისი თანხის ან მთლიანი თანხის ჩამოჭრის საკითხი.

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს ოდენობის შემცირების შემთხვევაში 1 თვის ვადაში შეავსოს იგი მის სრულ ოდენობამდე.

8. აუქციონში გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძველზე აუქციონის შედეგების გაუქმების შემთხვევაში უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხა, აუქციონატორის მიერ სრულად ირიცხება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მუხლი 23. განვადებით სარგებლობა

1 თუ, განვადებით გამოცხადებული აუქციონის პირობით შეძენილი ლოტის სრული საპრივატიზებო საფასურის გადასახდელად აუქციონში გამარჯვებულს დასჭირდა 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადა, აუქციონში გამარჯვებულს შეუძლია ისარგებლოს განვადებით, გრაფიკით ან მის გარეშე, არაუმეტეს 2 წლის ვადით.

2. განვადების საფასური შეადგენს ლოტის საწყისი ღირებულების 0,5% ყოველ დამატებით 30 კალენდარულ დღეზე. ლოტის სრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვადის ერთეული არის 30 კალენდარული დღე, სადაც ყოველ 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადა განისაზღვრება დამატებით 30 კალენდარულ დღედ. პირველი 30 კალენდარული დღისთვის აუქციონში გამარჯვებული არ იხდის განვადების საფასურს.

მუხლი 24. ვალდებულებათა შესრულება

1. ვალდებულების შესრულების ან/და ნაწილობრივ შესრულების მიღება ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

2. ამ წესის მიზნებისთვის ფინანსური ვალდებულება (თანხის სრული/საბოლოო ოდენობის ან/და სხვა თანხების გადახდა) შესრულებულად ითვლება შესაბამის ანგარიშზე თანხის გადასარიცხად საგადახდო დავალების შედგენის ან/და სხვა სათანადო დოკუმენტურად დადასტურებული ქმედების განხორციელების დღიდან.

3. აუქციონშიგამარჯვებულისმიერ თანხის გადახდა (გარდა მომსახურების საფასურისა და განვადების საფასურისა) ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. თანხების მიღების უფლებამოსილება ენიჭება აუქციონატორს, რომელიც გონივრულ ან/და დადგენილ ვადებში მის ანგარიშებზე ქონების განკარგვიდან მიღებულ თანხებს მიმართავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების საფუძველზე, აუქციონატორი ადასტურებს ვალდებულების შესრულებას საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემით.

5. საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ აუქციონშიგამარჯვებულიინფორმაციას, როგორც წესი, ადასტურებს სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნით.

6. იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების შესრულების შესწავლა სცილდება სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაძლებლობების ფარგლებს, აუქციონშიგამარჯვებული ვალდებულია წარმოადგინოს აუდიტორული/ საექსპერტო დასკვნა.

7. ფინანსური ვალდებულებების გარდა, სხვა სააუქციონო პირობები და ვალდებულებები შესრულებულად ითვლება ქ. თბილისის მთავრობის მიერ მათი შესრულების მიღების/დადასტურების დადასტურების მომენტიდან.

8. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება აუქციონში გამარჯვებულის აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხ-ლოსგან გათავისუფლების შესახებ.

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება აუქციონში გამარჯვებულის ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისაგან (გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებებისა) გათავისუფლების ან/და სხვა შესრულების მიღების შესახებ.

მუხლი 25. სხვა დებულებები

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გარეშე წყვეტს აუქციონის ფორმით განკარგულ ქონებაზე საკუთრების

მოწმობის გაცემამდე ან/და ვალდებულებების დადასტურებამდე ისეთი სამუშაოების წარმოებაზე თანხმობის გაცემის საკითხს, რომლითაც არ მცირდება გადაცემული ქონების ღირებულება. იმ სამუშაოთა წარმოების თაობაზე თანხმობის საკითხზე, რომლითაც მცირდება გადაცემული ქონების ღირებულება, გადაწყვეტილება მიიღება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გარეშე, წყვეტს აუქციონში გამარჯვებულის მიერ შეძენილ ქონებაზე საკუთრების მოწმობის გაცემამდე ან/და ვალდებულებების და დასტურებამდე შეძენილი ქონების მესამე პირზე იპოთეკით, გირავნობით ან სერვიტუტით დატვირთვის, უზუფრუქტით ან აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის გაცემის საკითხს, თუკი აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება საჭიროებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის თანხმობას.

3. აუქციონატორი უფლებამოსილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და ქალაქ თბილისის საკრებულოს თანხმობის გარეშე, მიიღოს გადაწყვეტილება აუქციონის ფორმით შეძენილ ქონებაზე საკუთრების მოწმობის გაცემამდე ან/და ვალდებულებების შესრულების დადასტურებამდე აუქციონში გამარჯვებულის ცვლილებასთან დაკავშირებით (თუ აღნიშნული საკითხი განსაზღვრულიაან/და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმით ან/და შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულებით.

მუხლი 26. დავების გადაწყვეტის წესი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებასთან დაკავშირებულ დავებს (მათ შორის პირობების შეუსრულებლობის გამო) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს სასამართლო.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის აუქციონის ფორმით პრივატიზებულ ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი.

მუხლი 27 გარდამავალი დებულებები

წინამდებარე წესის ძალაში შესვლამდე გამოცხადებული აუქციონების დასრულება ან/და შედეგების გაფორმება აუქციონატორმა უზრუნველყოს „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს №9-63 გადაწყვეტილებით დადგენილი წესის შესაბამისად.

განმარტებითიბარათი

„ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

ა) ზოგადიინფორმაციაპროექტისშესახებ:

ა.ა) პროექტისმიღებისმიზეზი:

საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკრებულოს კომპეტენციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს თბილისის მთავრობის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების დადგენა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესით. ამავე კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობამ 2014 წლის N დადგენილებით დაამტკიცა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის წესი“, რომელიც წარმოადგენს საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადების საფუძველს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 165-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოებმა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან 6 თვის ვადაში უნდა უზრუნველყონ თავიანთი ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.ამდენად, დღის წესრიგში დადგა „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს №9-63 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება და „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის

დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის შემუშავება.

ა.ბ) პროექტისმიზანი:

პროექტის მიზანია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცება და წესში იმ საკითხის გათვალისწინება, რომელიც ქონების პრივატიზების პროცესს უფრო ეფექტურს და მოქნილს გახდის.

ა.გ) პროექტისძირითადიარსი:

წარმოდგენილი პროექტით განისაზღვრება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის უძრავი და მოძრავი ნივთების, აქციებისა და წილების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესი, რომელიც არეგულირებს ელექტრონული და საჯარო აუქციონის გამოცხადებისა და ჩატარების პროცედურას, განმეორებითი და ვადაგაგრძელებული აუქციონის ჩატარების წესს, აუქციონში მონაწილეობის პირობებს, აუქციონის მონაწილის პასუხისმგებლობას, აუქციონატორის უფლებამოსილებას, საბანკო გარანტიის და ბეს ოდენობის, ანგარიშსწორების და გარიგებათა გაფორმების საკითხებს, აუქციონში გამარჯვებული სპასუხის მგებლობას და აუქციონის პირობების შესრულების დადასტურების და დავების გადაწყვეტის წესებს.

წარმოდგენილი პროექტით განისაზღვრება აუქციონის ორგანიზებაზე, ჩატარებაზე და შედეგების გაფორმებაზე უფლებამოსილი ორგანო - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (აუქციონატორი).

წარმოდგენილი პრექტით ძალადაკარგულად ცხადდება „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს №9-63 გადაწყვეტილება.

ბ) პროექტისფინანსურიდასაბუთება:

ბ.ა) პროექტისმიღებასთანდაკავშირებითაუცილებელიხარჯებისდაფინანსებისწყარო:

პროექტისმიღებაარგამოიწვევსაუცილებელიხარჯებისგამოყოფასქ.თბილისის მუნიციპალიტეტისბიუჯეტიდან.

ბ.ბ) პროექტისგავლენაბიუჯეტისსაშემოსავლონაწილზე:

პროექტის მიღების შემდგომ, პრივატიზების პროცესისშედეგად გაიზრდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები.

ბ.გ) პროექტისგავლენაბიუჯეტისხარჯვითნაწილზე:

პროექტისმიღებაგავლენასარიქონიებსქ.თბილისის

მუნიციპალიტეტისბიუჯეტისხარჯვითნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოსახალიფინანსურივალდებულებები:

პროექტისმიღებაარწარმოშობსსახელმწიფოსახალფინანსურვალდებულებებს.

ბ.ე) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

პროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე რომლებიც მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში.

ბ.ვ) პროექტით და დაგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

პროექტით დადგენილი არ არის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

პროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) პროექტისმომზადებისპროცესშიმიღებულიკონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) პროექტის შემუშავება შიმონაწილეორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტისშეფასებაპროექტისმიმართ, ასეთისარსებობისშემთხვევაში: პროექტსარახლავსექსპერტისშეფასება.

დ.გ) პროექტისავტორი:

პროექტისავტორიაქალაქთბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ - ქონებისმართვისსააგენტო.

დ.დ) პროექტისწარმდგენი:

პროექტის ინიციატორია ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.